პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
კვირა, 19 სექტემბერი, 1943 წ. № 197 (6822). ფასი 20 კაპ.

## გულისხმიერად მოვეპყრათ მშრომელთა შენიშვნებსა და საჩივრებს

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომით გამოწვეულ სიძნელეთა მიუხედავად, ზრუნვა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კი არ შემცირებულა, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა.

**ლენინ-სტალინის** პარტია, საბჭოთა მთავრობა ყოველთვის უდიდეს გულისხმიერებას იჩენდნენ და იჩენენ მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი, მათი შენიშვნებისადმი. საბჭოთა ადამიანის შენიშვნა თუ საჩივარი, რასაც და ვისაც არ უნდა ეხებოდეს, სწრაფ გამოხმაურებას პოულობს. პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელები, პრესა, სასამართლო-პროკურატურის ორგანოები მოწოდებული არიან დაუყოვნებლივ გამოეხმაურონ მშრომელთა სიგნალებს, მათს შენიშვნებსა და საჩივრებს, რათა დროულად იქნეს მიღებული ზომები მხილებულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად, დამნაშავეთა მისაცემად პასუხისგებაში, ხოლო დაუბრკოლებლად გაეწიოს დახმარება იმას, ვისაც საბჭოთა კანონით ეს ეკუთვნის.

არსებობს ზემდგომი ორგანოების დირექტივა, თუ რა ვადაში უნდა იქნას განხილული მშრომელთა საჩივარი. ეს კანონი ზუსტად უნდა იქნას დაცული.

მთელი რიგი ორგანიზაციები სწრაფად და დროულად ეხმაურებიან მშრომელთა სიგნალებს, პრესის შენიშვნებს, ღებულობენ ზომებს მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მიმდინარე წლის 20 მარტს ჩვენი გაზეთის რედაქციამ მიღებული მამხილებელი წერილი გაუგზავნა თელასის მეორე საექსპლოატაციო რაიონს მონტიორების ლევიტის, ყაზარიანის და დათუნაშვილის შესახებ. ისინი აბონენტებისაგან ზედმეტ ფულს იღებდნენ. წერილი დადასტურდა და დამნაშავენი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში.

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომმა სწრაფად განიხილა რედაქციიდან გაგზავნილი წერილი წითელარმიელ ლევან კრუჩკოვისა. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. თელავის რაისაბჭომ ასევე დაუყოვნებლივ განიხილა წითელარმიელ ალექსი ასლანოვის წერილი, რედაქციის მიერ გაგზავნილი, ფაქტი დადასტურებულად სცნო და შეცდომა გამოსწორებულ იქნა. საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომმა მიიღო ზომები ჩვენი გაზეთის 20 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რამაც დააჩქარა რაიონში საშემოდგომო თესვის ტემპები. ანალოგიური ფაქტების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება.

მაგრამ ზოგან ადგილი აქვს პრესის სიგნალებისადმი, მშრომელთა შენიშვნებისა და საჩივრებისადმი უყურადღებო, უზრუნველი დამოკიდებულების შემთხვევებს. ეს დანაშაულია.

მშრომელთა არც ერთი შენიშვნა, არც ერთი საჩივარი, პრესის ფურცლებზე მხილებული არც ერთი ფაქტი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. ეს მტკიცე კანონია. ხოლო ის, ვინც ამ კანონს არღვევს, აშკარა დანაშაულს სჩადის.

ზოგიერთი ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი დაგვიანებით ან სრულებით არ ეხმაურება რედაქციიდან გაგზავნილ წერილს. გაზეთში დაბეჭდილ შენიშვნას ზოგიერთი დაწესებულების მეთაური ისე ხვდება, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს. მიმდინარე წლის 2 აგვისტოს ბორჯომის რაიონის პროკურორს რედაქციიდან გადაეგზავნა მამხილებელი წერილი წაღვერში მცხოვრებ კ. ესვანჯიას მოქმედების შესახებ. პროკურორი ვალდებული იყო სასწრაფოდ გამოერკვია საქმის ვითარება და მიღებული ზომების შესახებ რედაქციისათვის ეცნობებინა. მაგრამ დღემდე ჩვენ არავითარი პასუხი არ მიგვიღია. ოთხი თვეა ვაჭრობის ინსპექტორს ნ. კიკნაძეს გადაეგზავნა სიგნალი „თბილპურვაჭრობის“ № 94 მაღაზიის გამგის ლოლაშვილის მოქმედებაზე, მაგრამ დღემდე პასუხი არ ჩანს. ალბათ ამხ. კიკნაძეს ჰგონია, რომ ამ საქმეს „მდუმარებით“ აუვლის გვერდს. მილიციის სამმართველოდან დღემდე არ არის მიღებული პასუხი 25 და 26 ივნისს გაგზავნილ წერილებზე. პირველი წერილი ეხებოდა თბილისში მცხოვრებ გ. სამანაშვილის დანაშაულებრივ მოქმედებას, ხოლო მეორე—ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩის მახლობლად ხულიგნობასა და ქურდობას.

საჭიროა მშრომელთა წერილებზე სწრაფი გამოხმაურება, საქმის ზუსტად გამორკვევა და სათანადო ზომების მიღება. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ საკითხი დამთავრებულად მხოლოდ მაშინ ითვლება, როცა საჩივრის ან სიგნალის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ფაქტიურად შესრულებულია.

სასამართლო-პროკურატურის ორგანოები მოწოდებულნი არიან დროულად გამოეხმაურონ მშრომელთა საჩივრებს. მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საჩივრებსა და მიმოწერაზე პასუხის დროულად გაცემას.

ფრონტელთა ოჯახების წევრების, სამამულო ომის ინვალიდების განცხადებები, შენიშვნები, საჩივრები სწრაფად უნდა იქნას განხილული. ფრონტელის ოჯახი, სამამულო ომის ინვალიდი ყოველთვის უნდა გრძნობდეს მზრუნველობასა და გულისხმიერებას. საჭიროა მშრომელთა ყველა შენიშვნა, საჩივარი პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, მათმა ხელმძღვანელებმა ყურადღებით განიხილონ. მშრომელმა, რომელიც თხოვნით თუ განცხადებით რაიონულ ან საქალაქო აღმასკომში, მიწგანში, სასამართლო-პროკურატურის ორგანოებში ან სხვა დაწესებულებებში მიდის, ზუსტი, გარკვეული პასუხი უნდა მიიღოს. მისი არც ერთი სიგნალი, საჩივარი არ უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი.

გულისხმიერად მოვეპყრათ მშრომელთა შენიშვნებს, სიგნალებს და საჩივრებს! ეს მტკიცე საბჭოთა კანონია, რომელიც განუხრელად უნდა შევასრულოთ ყველგან და ყოველთვის.

## ალექსანდრე სერგის-ძე შჩერბაკოვისათვის გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

### სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება ალექსანდრე სერგის-ძე **შჩერბაკოვს.**

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**ი. სტალინი**

**სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი**

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 17 სექტემბერი.

## წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაჯილდოება სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენებით

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 17 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

**კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენით**

არტილერიის გენერალ-მაიორი ი. ვ. ბელცოვი
გენერალ-ლეიტენანტი ს. ს. ბირიუზოვი
გენერალ-ლეიტენანტი ი. გ. კრეიზერი
გენერალ-ლეიტენანტი დ. დ. ლელიუშენკო
არმიის გენერალი რ. ი. მალინოვსკი
გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. ტოლბუხინი
გენერალ-მაიორი გ. ი. ხეთაგუროვი
არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი მ. ნ. ჩისტიაკოვი
გენერალ-ლეიტენანტი ვ. დ. ცვეტაევი.

**სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით** დაჯილდოებულია 24 გენერალი და ოფიცერი.

**კუტუზოვის მეორე ხარისხის ორდენით** დაჯილდოებულია 41 გენერალი და ოფიცერი. (საკდესი).

## ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ნიდერლანდების ელჩი ბ-ნი ბარონი ქ. ვან ბრიუგელ დუგლასი

17 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ნიდერლანდების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ბარონი ქ. ვან ბრიუგელ დუგლასი, იმასთან დაკავშირებით, რომ მან თავისი რწმუნების სიგელები უნდა ჩააბაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

## თავდაცვის სახალხო კომისარიატისაგან

1943 წლის 16 სექტემბერს საბრძოლო პოსტზე, ქალაქ გადიაჩის რაიონში დაიღუპა წითელი არმიის გამოცდილი მეთაური გენერალ-ლეიტენანტი პავლე პეტრეს-ძე კორზუნი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამხ. კორზუნის ხსოვნა უკვდავყოფილი იქნება ქალაქ გადიაჩში მისთვის ძეგლის აგებით.

## ბრძანებულება

### საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ა. თ. ხელიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე თადეოზის-ძე ხელიძე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1943 წ. 18 სექტემბერი. ქალ. თბილისი.

## კადრების მომზადება რძისა და ხორცის მრეწველობის საწარმოთათვის

**მოსკოვი,** 17 სექტემბერი (საკდესი). სსრ კავშირის რძისა და ხორცის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა მოაწყოს კვალიფიციური მუშების—საქართველოს სს რესპუბლიკის რძისა და ხორცის მრეწველობის ენერგეტიკული მეურნეობის ოსტატთა საწარმოო სწავლება. კურსები უშუალოდ საწარმოებში იხსნება. მეცადინეობა დაიწყება 1 ნოემბერს.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 18 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

18 სექტემბრის განმავლობაში **კიევის** მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას, წინ წაიწიეს 15-დან 20 კილომეტრამდე, დაიკავეს 230-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი **მირგოროდი**, ქალაქი და რკინიგზის კვანძი **რომოდანი**, რკინიგზის კვანძი **კობიჟჩა**, **ჩერნიგოვის** ოლქის რაიონული ცენტრები **კულიკოვკა, ბობროვიცა, მალაია დევიცა, ივანიცა, სრებნოე, ვარვა** და დიდი დასახლებული პუნქტები **ვიბლი** (10 კილომეტრზე ჩერნიგოვის აღმოსავლეთით), **ბაკლანოვა, მურავეიკა, ბუდა, სლობოდა, სმოლიანკა, ოლიშევკა, ხრეშჩატოე, პატიუტა, დანევკა, სტეპანოვკა, სალნოე, გალიცა, პოლოვა, ოლშანა, რიაშკი, კალიუჟენცი, პოდოლი, დეგტიარი, სვეტლიჩნოე, პრიხოდკი, მაკიევკა, სუხონოსოვკა, მელიხი, ვოლჩოკი, პოპოვკა, მალიე სოროჩინცი, ველიკიე სოროჩინცი.**

**ზაპოროჟიესა** და **მელიტოპოლის** მიმართულებებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას, წინ წაიწიეს 10-დან 15 კილომეტრამდე და დაიკავეს 110-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **პოლოგი**, ქალაქი **ნოგაისკი**, რკინიგზის კვანძი **ვერხნი ტოკმაკი**, ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრები **ნოვო-ნიკოლაევკა, ჩერნიგოვკა**, დიდი დასახლებული პუნქტები **ზალივნოე, ვოსკრესენკა, ლიუბიცკოე, ეგოროვკა, ნოვო-გრიგორიევკა, ნოვო-პოლტავკა, ტოკმაჩანსკი, ნელგოვკა, იურიევკა, ვიაჩესლავკა, პარტიზანი, ბორისოვკა, ობიტოჩნოე** და რკინიგზის სადგურები **კირილოვკა, ნელგოვკა, ელიზავეტოვკა, ტროიანი.**

**დნეპროპეტროვსკის** მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე, დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **პავლოგრადი**, აგრეთვე დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ხარკოვის ოლქის რაიონული ცენტრი **სახნოვშჩინა**, დნეპროპეტროვსკის ოლქის რაიონული ცენტრი **იურიევკა** და დიდი დასახლებული პუნქტები **დარ ნადეჟდი, ოგიევკა, ჩერნოგლაზოვკა, ნოვო-ივანოვსკი, ვერბოვატოვო, პავლოგრადსკიე ხუტორა, ბოგუსლავი, ალექსანდროვკა, პრეობრაჟენკა.**

**პოლტავისა** და **კრასნოგრადის** მიმართულებებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 4-დან 6 კილომეტრამდე და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათს შორის ხარკოვის ოლქის რაიონული ცენტრი **კოლომაკი.**

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც **ნოვგოროდ-სევერსკის** სამხრეთ-დასავლეთით უტევენ, წინ წაიწიეს 15-დან 20 კილომეტრამდე და მდინარე დესნის დასავლეთით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათს შორის ჩერნიგოვის ოლქის რაიონული ცენტრები **პონორნიცა, სოსნიცა** და დიდი დასახლებული პუნქტები **ბლისტავა, ავდეევკა, ხლოპიანიკი, რუდნია, ჩერნოტიჩი, კუდროვკა, ვოლინკა, ოლშანოე.**

**ბრიანსკის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს ორიოლის ოლქის რაიონული ცენტრი და სადგური **ჟუკოვკა**, დიდი დასახლებული პუნქტები **რეჩიცა, გოსამა, ჩიმოდუროვო, ნოვო-არხანგელსკი, პანიკოვიცა** (22 კილომეტრზე ბრიანსკის სამხრეთ-დასავლეთით), **კოზლოვკა, ბარაჩევკა, ლოპუში.**

**სმოლენსკისა** და **როსლავლის** მიმართულებებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს ცალკეულ უბნებზე 5-6 კილომეტრით და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც **ყუბანში** და **ნოვოროსიისკის** დასავლეთით უტევენ, ბრძოლით დაიკავეს მტრის წინააღმდეგობის ძლიერი კვანძები **კიევსკოე, მოლდავანსკოე, ნეზერჯაევსკაია, ბატარეინი, გლადკოვსკაია, ნოვო-კრიმსკი, ნიჟნე-ბაკანსკაია, გაიდუკი, ვლადიმიროვკა, გლებოვკა, იუჟნაია ოზერეიკა, აბრაუ-დიურსო.**

17 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 16 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 37 თვითმფრინავი.

* * *

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას და დაიკავეს 230-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი მირგოროდი, ქალაქი და რკინიგზის კვანძი რომოდანი. ნ შენაერთის ნაწილებმა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს და 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. ხელთ ვიგდეთ 3 ტანკი, 36 ქვემეხი, 3 რადიოსადგური, 600 ცხენი, დიდი საწყობები მარცვლეულიანად და სურსათიანად. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა, რომლებიც ნეჟინ-კიევის რკინიგზის გასწვრივ უტევენ, დაიკავეს რკინიგზის კვანძი კობიჟჩა. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 5 ტანკი, 6 ქვემეხი, 32 ავტომანქანა, საომარი მასალის საწყობი და საწყობი სხვადასხვა საომარ ქონებიანად. წამოყვანილია 200-ზე მეტი ტყვე.

* * *

ზაპოროჟიესა და მელიტოპოლის მიმართულებებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. მტერმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. საბჭოთა მოძრავი რაზმები გარს უვლიან გერმანელთა წინააღმდეგობის კვანძებს და სწრაფად მიიწევენ წინ. მათი მიმყოლი ნაწილები სპობენ მტრის დასაყრდენ პუნქტებს. დღეს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი რკინიგზის კვანძები პოლოგი, და ვერხნი ტოკმაკი, ქალაქი ნოგაისკი, აგრეთვე 110-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ნ შენაერთმა, რომელმაც ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრი ჩერნიგოვკა დაიკავა, მოსპო 800 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 5 ტანკი და 14 ქვემეხი. ჩვენი ჯარები სდევნიან მტრის განადგურებულ ნაწილებს, მტერს ართმევენ დიდ დავლას და მოჰყავთ ტყვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

დნეპროპეტროვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. ნ შენაერთის მებრძოლებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა მდინარე სამარისა და ვოლჩის ზღუდეზე, სოლივით შეიჭრნენ მტრის წყობილებაში და ქალაქ პავლოგრადის მისადგომებზე გავიდნენ. ქუჩებში გამართული სასტიკი ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გასწმინდეს ქალაქი და დიდი რკინიგზის კვანძი პავლოგრადი. პავლოგრადისათვის ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ჩვენი სხვა შენაერთები ერთი დღის ბრძოლებში განუწყვეტლივ ურტყამდნენ და სდევნიდნენ მტერს და დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

* * *

პოლტავისა და კრასნოგრადის მიმართულებებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ხარკოვის ოლქის რაიონული ცენტრი კოლომაკი და ათობით სხვა დასახლებული პუნქტი. ნ სატანკო შენაერთი ერთს უბანზე მტრის ძლიერს ცეცხლით წინააღმდეგობას შეხვდა. ჩვენმა ტანკისტებმა ფლანგიდან დარტყმით მოსპეს გერმანელთა 22 ქვემეხი და 400-ზე მეტი ჰიტლერელი. ჩვენი სხვა შენაერთის ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, დიდი დასახლებული პუნქტის გარეუბნებში შეიჭრნენ და მის ქუჩებში ბრძოლა გააჩაღეს.

* * *

ბრიანსკის ფრონტის ჯარები, ქალაქების ბრიანსკისა და ბეჟიცის დაკავების შემდეგ, განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას. მტერს ბრძოლაში გამოჰყავს სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა სამეურნეო ბატალიონები, რაზმები და ცდილობს დრო მოიგოს, რათა წესრიგში მოიყვანოს თავისი განადგურებული დივიზიები. ერთ უბანზე გერმანელთა ორი პოლკი ქვეითი ჯარი გარემოცვაში მოჰყვა და ცდილობდა დასავლეთისაკენ გაჭრილიყო. წინასწარ მომზადებულ ზღუდეზე, მდინარეზე გადასასვლელის მახლობლად, ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მტრის ეს ნაწილები. მოკლული და დაჭრილია ორი ათასამდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ მტრის ორი პოლკის მთელი არტილერია და საჭურველი. წამოყვანილია 300-ზე მეტი ტყვე. ქალაქ ბეჟიცაში, არასრული ცნობებით, ხელთ ვიგდეთ 25 ქვემეხი, მათ შორის 2 თვითმავალი ქვემეხი, 160 ტყვიამფრქვევი, 150 ვაგონი, დიდძალი ყუმბარა, ვაზნა, გრანატი, ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები, ქალაქისა და ნავსადგურის ნოვოროსიისკის დაკავების შემდეგ, განაგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მტერთან სასტიკ ბრძოლაში მოსპობილია 1.500-მდე ჰიტლერელი, გერმანელთა 12 ტანკი, 40 ქვემეხი და 53 ნაღმსატყორცნი. ყუბანში ჩვენმა ჯარებმა ღამით გაარღვიეს გერმანელთა მძლავრი თავდაცვითი ხაზი. მტერმა აქ ააგო მრავალრიცხოვანი ბეტონირებული სიმაგრე მავთულხლართიანი დაბრკოლებანი და დანაღმული მინდვრები. გერმანელები ამ პოზიციებს მიუდგომლად სთვლიდნენ. ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული კვანძები. გაჟლეტილია მტრის რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. არასრული ცნობებით, ხელთ ვიგდეთ 30 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 68 საველე ქვემეხი, 10 ორთქლმავალი. 100 ვაგონი, რამდენიმე საწყობი სამხედრო ქონებიანად და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ შავ ზღვაში ჩაძირა მტრის ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 20 დღის განმავლობაში ააფეთქა გერმანელთა 3 ტანკი და 23 ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად. გზატკეცილზე მოწყობილი საფრიდან დახოცილია გერმანელთა 88 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მიღებულია ცნობა გერმანელ ფაშისტ არამზადათა მიერ ვიტებსკის ოლქში ჩადენილ საზიზღარ ბოროტმოქმედებათა შესახებ. ჰიტლერელებმა მოსპეს და მიწასთან გაასწორეს ოსვეის რაიონის 158 დასახლებული პუნქტი. გერმანელებმა მთლად გადაბუგეს რაიონული ცენტრი ოსვეია. დაბა კოხანოვიჩი, სოფლები გოროდილოვიჩი, კოროლევო, ბორისოვო, ბელიანი და სხვები. ცეცხლმა მოსპო 4.000-მდე სახლი, 100-ზე მეტი სკოლა, 6 საავადმყოფო და 9 კლუბი. ჰიტლერელმა ბანდიტებმა მხეცურად აწამეს რამდენიმე ათასი მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე.

## დაიწყო ნოვოროსიისკის აღდგენა

ნოვოროსიისკის საბჭოთა და პარტიული მუშაკების უმრავლესობა პარტიზანთა რიგებში იბრძოდა. ახლა, გერმანელთაგან ქალაქის განთავისუფლებისთანავე, ისინი შეუდგნენ აღდგენითი სამუშაოების მოწყობას.

ქუჩებში ჯერ კიდევ ბრძოლები სწარმოებდა, როცა მცხოვრებთაგან შემდგარმა ბრიგადებმა იწყეს საშენი ხე-ტყის დამზადება. ქალაქში დადგმულია პირველი ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები, არემონტებენ პურსაცხობებს, შემოტანილია პირველ ხანში აუცილებელი სურსათის მარაგი.

კრასნოდარიდან მუდმივ სამუშაოზე მოვიდა ხუთი ექიმი.

ფოსტის შენობა ნოვოროსიისკში დამწვარია გერმანელ დამპყრობთაგან. კავშირგაბმულობის მუშაკებმა პირველი კორესპონდენციის მიღება პირდაპირ ქუჩაში მოაწყეს. მალე დაიწყებს მუშაობას ტელეგრაფი.

7 ნოემბერს გაიხსნება პირველი სკოლები. (საკდესი).

**მოქმედი არმია.** გენერალ-ლეიტენანტი ამხ. კ. **ლესელიძე** ნაწილის მეთაურს აძლევს საბრძოლო დავალებას.

## ბრძანება

## უმაღლესი მთავარსარდლისა

გენერალ-მაიორ **კრიუკოვის** გვარდიის მე-2 ცხენოსანმა კორპუსმა მდინარე **დესნის** გადალახვისას წარმოებულ ბრძოლებში 1943 წლის 11-15 სექტემბერს საუცხოო საბრძოლო გაწვრთნილობის, სიმტკიცისა და მანევრირების უნარის ნიმუშები გვიჩვენა.

კორპუსის ნაწილები მტრის ზურგში შეიჭრნენ, გადალახეს მდინარე **დესნა**, ხელთ იგდეს პლაცდარმი ამ მდინარის დასავლეთ ნაპირზე და ოთხი დღის განმავლობაში ინარჩუნებდნენ მას ჩვენი ქვეითი ჯარის მისვლამდე, მოიგერიეს არაერთგზისი იერიშები გერმანელთა დიდი ნაწილებისა, რომელთაც ტანკები და ავიაცია ეხმარებოდათ.

მდინარე **დესნის** გადალახვისას გაბედული და გადამწყვეტი მოქმედებისათვის გვარდიის მე-2 ცხენოსანი კორპუსი წარდგენილ იქნას **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

ზემოხსენებული ცხენოსანი კორპუსის შემადგენლობის მე-20 წითელდროშოვანი და ლენინის ორდენოსანი ცხენოსანი დივიზია გარდაიქმნას გვარდიის მე-17 წითელდროშოვან და ლენინის ორდენოსან ცხენოსან დივიზიად. დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი პავლე ტროფიმეს-ძე **კურსაკოვი**. გარდაქმნილ გვარდიის დივიზიას გადაეცეს **გვარდიის დროშა**.

მდინარე **დესნის** წარმატებით გადალახვისათვის კორპუსის მეთაური, აგრეთვე შენაერთებისა და ნაწილების მეთაურები, რომელთაც თავი გამოიჩინეს, წარდგენილ იქნან **სუვოროვის** ორდენებით დასაჯილდოებლად.

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1943 წლის 18 სექტემბერი.

## ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ბრიანსკი და ბეჟიცა

**მოქმედი არმია,** 17 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ერთდროული დარტყმით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები მდინარე დესნაზე, დიდი სამრეწველო ცენტრები — ქალაქები ბრიანსკი და ბეჟიცა. მოპოვებულია კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვება.

აგვისტოს დამდეგს წითელმა არმიამ დიდი დამარცხება აგემა გერმანელ ფაშისტთა რჩეული ჯარების დაჯგუფებას ორიოლთან და ლიკვიდაცია უყო მტრის ორიოლის პლაცდარმს. ამის შემდეგ ჩვენი ჯარები სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ ჰიტლერელებს, განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დღითი დღე ერეკებოდნენ ფაშისტებს დასავლეთისაკენ — ბრიანსკისაკენ. მტერი იშველიებდა დიდძალ ტანკებსა და ქვეითს ჯარს, ცდილობდა თავისი შეფერხილი დივიზიები მოეშორებინა ჩვენი ჯარების დარტყმისათვის, მაგრამ ამ ცდებს წარმატება არა ჰქონია. წითელი არმიის ნაწილები განაგრძობდნენ ფაშისტთა ჯარების კვალდაკვალ დევნას და მძიმე ზარალს აყენებდნენ მათ. გერმანელებს სურდათ შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების შეტევა, მოჰყავდათ რეზერვები, ნაღმავდნენ დასახლებული პუნქტების მისადგომებს და გზებს, ცდილობდნენ შეჩერებულიყვნენ წინასწარ მომზადებულ ზღუდეებზე. მაგრამ ჩვენი ჯარები ზედიზედ ართმევდნენ მტერს დასაყრდენ პუნქტებს და უახლოვდებოდნენ ბრიანსკს.

ბრიანსკი, რომელიც დესნის მაღალს დასავლეთ ნაპირზე მდებარეობს, იყო მტრის თავდაცვის დიდი და მნიშვნელოვანი პუნქტი და გერმანელთა ჯარების ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ბაზა აღმოსავლეთის ფრონტზე. ქალაქი და რკინიგზის სადგური დაცული იყვნენ მტრის ავიაციისა და საზენიტო არტილერიის დიდი შენაერთებით. გერმანელთა სარდლობა განუწყვეტლივ ამაგრებდა ბრიანსკის ახლო და შორეულ მისადგომებს, რადგან სთვლიდა მას ჰიშკრად, რომელიც საბჭოთა ჯარებს აძლევს ტყიანი მასივებიდან საოპერაციო სივრცეებში გასასვლელს.

კარაჩოვის აღების შემდეგ ჩვენი ნაწილები, სდევნიდნენ რა უკანდახეულ ჰიტლერელებს, მტრის თავდაცვითს შუალედს ზღუდეზე გავიდნენ. ამ ზღუდეს მტერი მრავალი თვის განმავლობაში ჰქმნიდა, ხოლო ორიოლის დაცემის შემდეგ იგი კიდევ უფრო გაამაგრეს და ხანგრძლივი თავდაცვისათვის მოამზადეს. ფართო ფრონტზე, ტყიანი მასივით, დაჭაობიანებულ მდინარე ველიშის გასწვრივ გადაჭიმული იყო მტრის თავდაცვის ხაზი, რომელიც საინჟინრო ნაგებობათა რთულ სისტემას წარმოადგენდა. „მკვდარი“, თვალმოუვლებელი უბნების ლიკვიდაციისა და ხილვადობის გაუმჯობესების მიზნით, მტერმა ტყის მნიშვნელოვანი ფართობი გაჩეხა. მდინარის გაღმა აგებული იყო მიწაყრილი გალავნით, რომელიც ჰფარავდა ფაშისტთა ნაწილების მოძრაობას. გათხრილი იყო გზა სანგარსასვლელთა განვითარებული ქსელით, რომელიც ზოგან ძელებით იყო გადახურული, ჰქონდა მრავალი ძელმიწური საცეცხლე წერტი, სატყვიამფრქვევო და სანაღმმტყორცნო მოედნები. ყოველივე ამას გარს ერტყა დანაღმული მინდვრები, მავთულხლართიანი და სხვა დაბრკოლებანი. საქვემეხო, სანაღმმტყორცნო და სატყვიამფრქვევო წერტები ისე იყო განლაგებული, რომ მტრის პოზიციებს მთლიანი ცეცხლის ფარდით იცავდა.

ჩვენმა ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა, გავიდნენ ამ ზღუდეზე და იწყეს ბრძოლები უშუალოდ ბრიანსკისათვის. მზვერავი რაზმები ყოველდღე დაზვერვას ეწეოდნენ. მათ მიერ მოტანილი ცნობებით არტილერია მეთოდურ სროლას ეწეოდა გერმანელთა სიმაგრეების მოსასპობად. სწარმოებდა დიდი მზადება ტყიან მასივში ბრძოლებისათვის და წყლის ზღუდეების გადასალახავად, იქმნებოდნენ და იწრთვნებოდნენ სპეციალური ჯგუფები დანაღმული მინდვრების გასაუვნებლყოფად და ტყეხერგილების სალიკვიდაციოდ.

წამოყვანილი ტყვეები ამტკიცებდნენ, რომ გერმანელთა სარდლობის ბრძანებით, გერმანელთა ჯარებს უნდა შეენარჩუნებინათ ეს თავდაცვითი ზღუდე, რადაც უნდა დასჯდომოდათ. ჰიტლერელებს იქ ახალი დივიზიები მოჰყავდათ.

ბრიანსკისათვის ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს თავიანთი მაღალი სამხედრო უნარი. ჩვენი ცხენოსნები, რომელნიც ამ უბნის ჩრდილო-დასავლეთით მოქმედებდნენ, აგრეთვე ბრიანსკის სამხრეთით შემტევი ჯარები გაბედულად უვლიდნენ გვერდს ფაშისტთა დასაყრდენ პუნქტებს, გარს ერტყმოდნენ და სპობდნენ მათ. გადამწყვეტი, კარგად მომზადებული იერიში მტრის სიმაგრეებზე აღმოსავლეთის მხრიდან წარმატებით დაგვირგვინდა. 11 სექტემბერს დილით ნ შენაერთის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ. საბჭოთა ნაწილებმა შემოუარეს ჰიტლერელთა წინააღმდეგობის ცალკეულ კვანძებს, გადასჭრეს გზები, წინ გაუშვეს მოიერიშე ჯგუფები და დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა სძლიეს მტრის წინააღმდეგობა, გადალახეს ძლიერ დანაღმული ზოლი და დღე-ღამის განმავლობაში ტყიანი მასივით კარაჩოვ-ბრიანსკის გზატკეცილის გასწვრივ 16-დან 25 კილომეტრამდე გაიარეს.

შემდგომი დღის განმავლობაში წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს რკინიგზის კვანძი და დასახლებული პუნქტები, რომლებიც დესნის მარცხენა ნაპირზე მდებარეობენ. საბჭოთა ჯარების ხელში აღმოჩნდა ბრიანსკ-1 და ბრიანსკ-2 რკინიგზის კვანძები, ფოკინის სახელობის, ვოლოდარსკის სახელობის, ვოროვსკის სახელობის, ურიცკის სახელობის, ტოლსტოის სახელობის მუშათა დაბები. 12 სექტემბრის დამლევისათვის დესნის აღმოსავლეთ ნაპირი სავსებით გაწმენდილი იყო ჰიტლერელთაგან.

დესნის ნაპირზე რომ გავიდნენ, საბჭოთა ჯარებმა მტერს ბრძოლა გაუმართეს ბრიანსკის ახლო მისადგომებზე. გერმანელებმა აამოქმედეს დიდძალი საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარია. ჩვენი მებრძოლების ყოველ ცდას გადასულიყვნენ მეორე ნაპირზე გრიგალისებური სროლით ხვდებოდნენ.

ძლიერ საქვემეხო, სატყვიამფრქვევო და სანაღმმტყორცნო სროლაში ჩვენი ქვეგანაყოფების ნაწილმა დესნა გადალახა და მის მარჯვენა ნაპირზე გამაგრდა. 15 სექტემბერს ღამით მეავტომატეთა ჯგუფი უმცროს ლეიტენანტ სმირნოვის მეთაურობით ორი ტყვიამფრქვევით მარჯვენა ნაპირზე გადავიდა მონასტირის რაიონში. მებრძოლებმა მოაწყეს ირგვლივი თავდაცვა, გამაგრდნენ ამ უბანზე და განუწყვეტელი რადიოკავშირი ჰქონდათ თავიანთ ნაწილთან.

323-ე მსროლელმა დივიზიამ პოლკოვნიკ ამ. უკრაინეცის მეთაურობით იერიში მიიტანა მტერზე აღმოსავლეთიდან. პოდპოლკოვნიკ აბაშევის 197-ე დივიზია ამ დროს ემზადებოდა, რათა სწრაფად დაერტყა ჰიტლერელთა გარნიზონისათვის. მაიორ კუროჩკინის ცალკე ბატალიონის მესანგრეებმა მტრის მიერ გაჩაღებულ სროლაში ბოლვაზე საიერიშო ბოგირი გასდეს და რამდენიმე ფონი იპოვნეს ქალაქ ბეჟიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამით მათ საშუალება მისცეს პოლკოვნიკ ვორობიოვის დივიზიას მარჯვენა ნაპირზე გადასულიყო და მიახლოვებოდა ქალაქ ბეჟიცის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანს. ამავე დროს მარჯვენა ნაპირზე გადაჭქონდათ ჩვენი არტილერიაც. როგორც კი მიღებულ იქნა ბრძანება შეტევაზე გადასვლის შესახებ, მესანგრეებმა 35 წუთის განმავლობაში გასდეს ხიდი, და ამ ხიდით ჩვენი ჯარები დაიძრნენ.

ბეჟიცის გარეუბანში გასული ქვეგანაყოფები გერმანელთა თავდაცვითი ნაგებობების ძლიერ ზოლს წააწყდნენ. წითელარმიელები გრანატებით შეიარაღდნენ და მოემზადნენ ამ სიმაგრეთა საიერიშოდ. ავტომატებით, ხელის ტყვიამფრქვევებითა და გრანატებით ისინი შეიჭრნენ მტრის სანგრებში და ულმობლად სპობდნენ ფაშისტ დამპყრობთ. იმ დროს, როცა პოლკოვნიკ ვორობიოვის მებრძოლები ჰიტლერელთაგან სწმენდნენ ქალაქ ბეჟიცის ქუჩებსა და უბნებს, სხვა ქვეგანაყოფთა მესანგრეები მტრის განუწყვეტელ სროლაში დროებითს გადასასვლელებს აკეთებდნენ დესნაზე ბრიანსკის პირდაპირ. პოლკოვნიკ უკრაინეცის დივიზია და პოდპოლკოვნიკ აბაშევის ამ დროს მოსული დივიზია რამდენიმე მიმართულებიდან შეიჭრნენ ბრიანსკში. განთიადისას ბრძოლები ქალაქების ბრიანსკისა და ბეჟიცის დასაკავებლად დამთავრებული იყო. წითელი არმიის ნაწილებმა განდევნეს მტერი ქალაქებადან და კვლავ ერეკებიან მას დასავლეთისაკენ.

აუწერელი სიხარულით შეხვდნენ ბრიანსკისა და ბეჟიცის მცხოვრებნი თავიანთ განმათავისუფლებლებს. ქუჩებში, რომლებითაც მიდიან ჩვენი მებრძოლები—მესანგრეები, ქვეითები, არტილერისტები — გულისამაჩუყებელი შეხვედრები ხდება. მოზეიმე ხალხი ერთმანეთს ეხვევა, გულმხურვალედ მიესალმება წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს. წითელარმიელთა შაშხანები და ავტომატები შემკობილია ყვავილებით. რომელთაც ბედნიერი ქალაქელნი თავიანთ განმათავისუფლებლებს უძღვნიან

**მ. კაპლანსკი**

## დამხმარე მეურნეობების, ინდივიდუალური და კოლექტიური ბოსტნების მოსავლის აღებისა და შენახვის შესახებ

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ დაავალა პროფკავშირების ცენტრალურ, საოლქო და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს სექტემბერსა და ოქტომბერში მთავარი ყურადღება მიაპყრონ დამხმარე მეურნეობების, მუშამოსამსახურეთა ინდივიდუალური და კოლექტიური ბოსტნების მოსავლის აღებისა და შენახვის მოწყობას. აგრეთვე უნდა მომზადებულ იქნას საზამთრო სადგომები და შეიქმნას პირუტყვის საკვების მარაგი.

15 სექტემბრიდან ეწყობა დამხმარე მეურნეობებში მოსავლის აღებასა და შენახვის ორგანიზაციაში დახმარების გაწევის ერთთვიური. მოსავალი უნდა აღებულ იქნას დაწესებულ ვადებში და უდანაკარგოდ. დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად მზად არის საცავები, კასრები კომბოსტოს დასამწნილებლად.

საბოსტნე კომისიები მოვალენი არიან ყოველდღიურად ადევნონ თვალყური, რომ დროულად მოეწყოს მოსავლის აღება და შენახულ იქნას ინდივიდუალური და კოლექტიური ბოსტნების კარტოფილი და ბოსტნეული. (საკდესი)

## საბჭოთა კავშირში

### ამხანაგ სტალინის წიგნი უკრაინულ ენაზე გამოვიდა

უკრაინის გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით გამოუშვა უკრაინულ ენაზე ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. წიგნში დაბეჭდილია ამხანაგ სტალინის ყველა გამოსვლა და ბრძანებანი, რომლებიც შევიდა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მესამე გამოცემაში.

წიგნის მთელი ტირაჟი იგზავნება უკრაინის განთავისუფლებულ რაიონებში.

(საკდესი).

### ალექსი სემივოლოსმა ორნახევარი წლის ნორმა შეასრულა

ჩვენი ქვეყნის წარჩინებულმა მბურღავმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ალექსი სემივოლოსმა, რომელიც ბაიკალის მაღაროებში მუშაობს, 7 სამუშაო თვის განმავლობაში ორნახევარი წლის ნორმა შეასრულა. სემივოლოსმა თავისი სკოლა შექმნა ურალში. მისი საუკეთესო მოწაფე, ურალელი კრივონოსოვი თავის მასწავლებელს არ ჩამორჩება. მან 2, 3 წლის ნორმა შეასრულა. ათობით ტონა მადანს იძლევიან წლიური გეგმის გადამეტებით სხვა მისი მიმდევრებიც. (საკდესი).

# უდანაკარგოდ ავილოთ სამხედრო მოსავალი

## აგარის შაქრის ქარხანა ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდეს სეზონს

**ქარელი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). კიდევ რამდენიმე დღე და შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება დაიწყება. აგარის შაქრის ქარხნის კოლექტივის ვალია ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს ნედლეულის გადამუშავებას. ქარხანამ უკვე დაამთავრა მიმდინარე რემონტი, 20 სექტემბრისათვის დამთავრდება კაპიტალური რემონტი. საამქროებსა და ცალკეულ მუშებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. იაშა იკოევის ბრიგადამ წვენის გამწმენდი საამქროს რემონტი დაწესებულ ვადაზე ათი დღით ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა, გეგმის გადამეტებით შეაკეთა კომუნალური მომსახურეობის მილები. ქარხანას ჰყავს წარჩინებული ადამიანები, რომელნიც დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სამუშაო გეგმებს. ხარატი ნიკოლოზ ალბოროვი ყოველთვიურ საწარმოო გეგმას 200 და მეტი პროცენტით ასრულებს, მან აგვისტოს გეგმა 288 პროცენტით შეასრულა, ი. ვანიშვილმა—254 პროცენტით, ხოლო ი. სიქტურაშვილმა — 225 პროცენტით. ზეინკალმა პ. გოგოტამ აგვისტოს გეგმა 129 პროცენტით შეასრულა, ელექტრომექანიკოსი ბოგდანოვი 243 პროცენტით ასრულებს საწარმოო გეგმას. ასევე წარმატებით მუშაობენ მუშები გავრილიუკი, არხიპოვი, ივაშჩენკო, ბოლიშვილი, ალავერდაშვილი, ჯმუხაძე, კალაშნიკოვი, მაისურაძე, ბრეგვაძე. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიდან კარგად მუშაობენ იკოევი, იტენსონი და სხვ.

მაგრამ ქარხანას ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი და იგი ყოველ მხრივ არ არის მზად სეზონისათვის. გეგმით ქარხანას უნდა ჰქონდეს ქვა-კირის სამი თვის მარაგი, მაგრამ მხოლოდ ერთი თვის მარაგი მოეპოვება. ქარხანა უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური კადრებით, დიდი რაოდენობით სჭირდება სეზონური მუშა-ხელი. მიუხედავად იმისა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა დროულად მიიღეს საჭირო ღონისძიებანი ქარხნის მუშა-ხელით უზრუნველყოფისა და კადრების გადამზადებისათვის, მუშა-ხელის მოზიდვა და კადრების გადამზადება ჯერ კიდევ ნელი ტემპებით სწარმოებს. ჭარხლის მიმღები პუნქტები დღემდე არ არიან დაკომპლექტებული მწონავებით, მოანგარიშეებითა და დამხმარე მუშა-ხელით, მოწყობილი არ არის მიმღები პუნქტების მოედნები, აკლიათ ჭარხლის საფარი ჭილობები.

აგარის შაქრის ქარხნის სამეურნეო, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. დაყოვნება შეუწყნარებელია.

ვ. ინასარიძე

## რატომ აცდენენ ტრაქტორებს?

**სიღნაღი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). საშემოდგომო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის რაიონის კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის ახალი ძალით გაჩაღდა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა ჩაება წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოწოდებით მიმართა რაიონის კოლმეურნეობებს და იკისრა საშემოდგომო თესვა დაამთავროს 20 ოქტომბრისათვის. აღნიშნულ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურა სიღნაღის რაიონის ყველა კოლმეურნეობა.

დაუღალავი შრომის ნიმუშებს გვიჩვენებენ ხვნაში მრავალი ტრაქტორისტები და სატრაქტორო ბრიგადები. ულიანოვკის მტს-ის თ. მანჯაფარაშვილის ბრიგადას მოხნული აქვს 240 ჰექტარზე მეტი, არეშიძის ბრიგადას 200 ჰექტარი, წნორის მტს-ის მატვიენკოს ბრიგადას 500 ჰექტარზე მეტი, ალაზნის მტს-ის ტრაქტორისტმა გვასალიამ მოხნა 490 ჰექტარი და სხვ. რაიონი უზრუნველყოფილია ხორბლისა და ქერის სათესლე მასალით. სწარმოებს თესლის კონდიციამდე დაყვანა.

წელს სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობები დასთესენ 21.400 ჰექტარ ხორბალსა და ქერს. ეს სერიოზული დავალებაა, მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ ჩქარობენ ხვნის დაწყებას. მაგალითად, ანაგის ხუთი კოლმეურნეობიდან ხვნა მხოლოდ კოლმეურნეობა „მისწრაფებამ“ დაიწყო. სოფ. ტიბაანის მოლოტოვის, ოქტომბრის რევოლუციის 13 წლისთავის და კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობები აჭიანურებენ სათესლე მასალის მომზადებას. ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ხელს არ უწყობენ სატრაქტორო ბრიგადებს, დროზე არ აწვდიან საწვავ მასალას, არ სწმენდენ მოსახნავ ნაკვეთებს. საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში ოთხ დღეს მოაცდინეს 3 ტრაქტორი, ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა უყურადღებობით 3 ტრაქტორი დღენახევარს გასცდა. განა ეს დასაშვებია?

ილ. სიმონიშვილი

## ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება
(ტრესტ „საქჩაის“ 15 სექტემბრის ცნობებით)

| რაიონები | სექტემბრის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისით პროცენტობით | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | სექტემბრის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისით პროცენტობით | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 17,8 | 82,6 | წულუკიძე | 20,9 | 89,1 |
| ქობულეთი | 29,7 | 81,0 | ქუთაისი | 61,5 | 102,6 |
| გალი | 35,0 | 88,1 | წყალტუბო | 2,4 | 100,5 |
| ოჩამჩირე | 24,0 | 80,6 | ტყიბული | 42,8 | 93,5 |
| გულრიფში | — | 86,8 | ცხაკაია | 6,7 | 92,3 |
| სოხუმი | — | 80,0 | აბაშა | — | 91,7 |
| გუდაუთი | 23,6 | 103,1 | გეგეჭკორი | 21,5 | 82,1 |
| მახარაძე | 19.6 | 90,1 | ზუგდიდი | 18,3 | 85,1 |
| ჩოხატაური | — | 87,7 | წალენჯიხა | 26,2 | 92,7 |
| ლანჩხუთი | 22,7 | 83,4 | ჩხოროწყუ | 11,6 | 86,4 |
| სამტრედია | 22,1 | 95,4 | ხობი | 23,6 | 90,5 |

სალიბაურის (ბათუმის რაიონი), შრომის (მახარაძის რაიონი), მამათის და აცანის (ლანჩხუთის რაიონი) და გუდაუთის (გუდაუთის რაიონი) ჩაის ფაბრიკების ცნობები ცხრილში შეტანილია 10 სექტემბრის მდგომარეობით.

## „კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

### „ქარელის რაიონში სუსტად ემზადებიან თესვისათვის“

ამ სათაურით გაზ. „კომუნისტის“ 1943 წლის 20 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქარელის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში სუსტად ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი ამხ გ. დევიძე გვატყობინებს, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კორესპონდენციაში აღნიშნული ნაკლოვანებანი საშემოდგომო თესვის მზადების საქმეში გამოსწორებულია, გარდა მტს-ების მუშაობისა. ჯერ კიდევ სუსტად ემზადებიან მტს-ები. განსაკუთრებით ეს ითქმის რუისის მტს-ზე.

კორესპონდენციაში აღნიშნულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, მტს-ების დირექტორებს და ქარელის რაიმიწგანს მიეცა მითითებანი, ხოლო ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჭანკოტაძე საშემოდგომო თესვის ცუდი მომზადებისა და სხვა ბრალდებების გამო მოხსნილია სამუშაოდან და მისი საქმე გადაცემული აქვს პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად.

## აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულება

**საგარეჯო** („კომუნისტის“ კორ.). 10 სექტემბრისათვის რაიონმა შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 6.492 კილოგრამი პარკი, გეგმა შესრულებულია 100.8 პროცენტით.

ყურძნის კრეფა ხირსის საბჭოთა მეურნეობაში.
ფოტო ვ. გინზბურგისა

# პარტიული ცხოვრება

## პარტიული ორგანიზაცია და წარმოებაში ახალმოსულნი

**ჭიათურა** („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მარგანტრესტის სტალინის სახელობის მაღაროში რამდენიმე ასეული ახალი მუშა მოვიდა. მათთან მუშაობა, მათი აღზრდა მაღაროს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა. ახალმოსულები არ იცნობდნენ მაღაროს, შრომის დისციპლინის კანონებს. ამიტომ იყო, რომ ბევრი მუშა დავალებას ვერ ასრულებდა, ხშირი იყო შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

ახალმოსულებთან მუშაობის საკითხი აგვისტოს პირველ რიცხვებში პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახდა. აღინიშნა, რომ ახალგაზრდები გ. ასანიძე, გიორგი და დავით ჩუბინიძეები არღვევდნენ შრომის დისციპლინას, პარტიის წევრობის კანდიდატი ელმავლის მემანქანე გ. მოდებაძე გეგმას 40 პროცენტით ასრულებდა, კომკავშირელი გ. ბაზლაძეც ვერ მუშაობდა დამაკმაყოფილებლად. მათზე ილაპარაკეს პარტიულ კრებაზე, მათ მიუთითეს, ღონისძიებანი დაუსახეს.

ამ დღეებში ახალმოსულთა თათბირი ჩატარდა. პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. ჯაოშვილი კვლავ შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, მაღაროელთა ამოცანებზე ესაუბრა ახალმოსულებს. მათ გააცნეს ახალი ნორმები, დაისახა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი. მაღაროში ახალმოსულებთან ერთად ერთ თვეში ჩატარდა 6 ლექცია, 27 საუბარი, 9 კონსულტაცია.

პარტორგანიზაციის ასეთმა მუშაობამ გარკვეული შედეგები მოგვცა. ელმავლის მემანქანეები ამხ. გ. მოდებაძე და გ. ბაზლაძე ახლა უწუნოდ და უავარიოდ მუშაობენ, გეგმას 140 პროცენტით ასრულებენ. ახალმოსული ამწმენდები ამხ. ვ. ლონდაძე, პატარიძე, ს. გაგლოშვილი, ალ. ნადირაძე, ა. ყაველაშვილი, გ. ქოქოსაძე გეგმას 150 და მეტი პროცენტით ასრულებენ. მათ გვარებს ხშირად ნახავთ წარჩინებულ ადამიანთა დაფაზე.

მაგრამ ახალმოსულებთან მუშაობაში ყველაფერი რიგზე როდია. მართალია, სამასზე მეტი ახალმოსული სწავლობს ახალ პროფესიებს, მაგრამ ზოგიერთნი გეგმას ვერ ასრულებენ. ახალმოსულებთან სააგიტაციო-აღმზრდელობითი მუშაობაც სათანადოდ არ არის დაყენებული. ბევრი ახალმოსული ვერც კი იცნობს თავისი უბნის ან ცვლის აგიტატორს. საყოფაცხოვრებო პირობებიც გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს. ახალმოსულებთან მუშაობის დარგში მაღაროს პარტიულ ორგანიზაციას, კომკავშირულ და პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად ჯერ კიდევ სერიოზული მუშაობის გაწევა დასჭირდება. ყველა ახალმოსული უნდა ჩავაბათ შეჯიბრებაში, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი მათ აღზრდას, საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მაღაროში გეგმას ყველა მუშა ასრულებდეს.

ახალმოსულებთან მუშაობის საკითხი 10 სექტემბერს სპეციალურად განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის ქალაქკომის პლენუმმა. აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი, დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელებით უნდა მივაღწიოთ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოღებას.

პ. ჭიოკაძე

## პოლიტიკური მოხსენებები სოფლად

**ქ. წულუკიძე** („კომუნისტის“ საკ. კორ.). წულუკიძეში ჩამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. სტურუა, რომელიც რაიონის პარტაქტივის კრებაზე გამოვიდა მოხსენებით საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ამხ. სტურუას მოხსენება პარტაქტივმა დიდი ყურადღებით მოისმინა.

ამხ. სტურუამ იმავე თემაზე მოხსენება გააკეთა მათხოჯისა და ღანირ-ქუტირის კოლმეურნეობების კოლმეურნეთა სასოფლო კრებებზე. კოლმეურნეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ამხ. გ. სტურუას მოხსენება და მრავალი შეკითხვა მისცეს. ამხ. გ. სტურუამ კოლმეურნეთა შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცა.

მოსმენილ მოხსენებებთან დაკავშირებით კოლმეურნეებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი წითელი არმიისათვის დახმარების გასაძლიერებლად.

ქ. ცაცუა

## საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

**ქუთაისი** („კომუნისტის“ საკ. კორ.) შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის III პლენუმი. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1. საწარმო-დაწესებულებათა და რკინიგზის ტრანსპორტის მზადება ზამთრისათვის და 2. საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს ანგარიში II პლენუმიდან III პლენუმამდე საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილე, მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ამხ. ა. მაღრაძე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ ქუთაისის მთელმა რიგმა საწარმოებმა და რკინიგზის ტრანსპორტმა თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარეს 1943-44 წლის ზამთრისათვის მზადების საქმეში. კარგად იმუშავეს აბრეშუმის კომბინატმა, მაუდის ფაბრიკამ, სამკერვალო ფაბრიკამ, რიონჰესმა და სხვებმა. პლენუმმა ყურადღება გაამახვილა ზამთრისათვის მზადების საქმეში მთელ რიგ დეფექტებზე. რკინიგზის კვანძზე ბევრი სამუშაო ჯერ კიდევ შეუსრულებელია. ლიტოპონის ქარხანაში მომარაგებული არ არის ზამთრისათვის ბარიტი, საკმაო რაოდენობით არა აქვთ სათბობი, აბრეშუმის კომბინატში მოუწესრიგებელია მოსამზადებელი და საქსოვი საამქროების დათბუნება, შეუკეთებელია საერთო საცხოვრებლები, სტანდარტული ბინები, ასევეა მაუდის ფაბრიკაშიც. პლენუმზე განსაკუთრებით აღინიშნა ნაკლი ქალაქის შეშით მომარაგების დარგში.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: დ. თოთიბაძე, გ. უგულავა, ს. შაჰარაძე, ლ. გაჩეჩილაძე, ჭ. თედორაძე, ნ. პროზოროვი, ა. ესაიაშვილი, გ. ჩიხლაძე, ი. გაგუა, ლ. გაგოშიძე, ქარაზანაშვილი და ვ. ჩაკვეტაძე.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ გრ. ავალიანი.

ამხ. გ. ავალიანის მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ი. სახელაშვილმა, ა. იოსელიანმა, შ. რუხაძემ.

დასასრულ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გრ. ნარსია. განხილული საკითხების ირგვლივ პლენუმმა მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.

გ. სამხარაძე

# დეპეშები

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი**, 18 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 17 სექტემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მთელ რიგ ობიექტებზე ბერლინში. გამანადგურებელი ავიაციის თვითმფრინავებმა დაბომბეს რკინიგზის ობიექტები ბრეტანში (საფრანგეთი). დაზიანებულია ბევრი ორთქლმავალი. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

## ნაღვლიანი განწყობილება გერმანიაში

**სტოკჰოლმი**, 18 სექტემბერი (საკდესი). შვედურმა გაზეთმა „გეტებორგს პოსტენმა“ გერმანიის მდგომარეობის შესახებ მოათავსა ნაამბობი ერთი შვედისა, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა გერმანიიდან.

გერმანელი მოსახლეობის განწყობილება,—განაცხადა ამ შვედმა,—ნაღვლიანია. შვედი იუწყება მრავალი ადგილობრივი მცხოვრებისა და უცხოელის დაპატიმრების შესახებ. საპყრობილეები სავსეა. დაპატიმრებულთ, განსაკუთრებით უცხოელებს, აწამებენ.

აწამებენ გერმანელებსაც, რომელთაც ბრალს სდებენ რეჟიმისადმი უთანაგრძნობო დამოკიდებულებაში. გერმანელი მოსახლეობა, —აცხადებს შვედი,—ახლა ცხადად ხედავს, რომ ჰიტლერული რეჟიმი „სს“ და გესტაპოს ემყარება. გერმანელთა განწყობილების დამახასიათებელია, რომ ბევრი ახლა უკვე აღარ მიესალმება ერთმანეთს ჰიტლერულად, ბევრი ჰიტლერელი ტანისამოსზე აღარ ატარებს პარტიულ ნიშნებს. დასავლეთ გერმანიის ქალაქებში, რომლებიც დაბომბვისაგან დაზარალდნენ, მოსახლეობა ხშირად ჰგლეჯდა ჰიტლერულ ნიშნებს იმ ადამიანებს რომლებიც მათ ტარებას ბედავდნენ.

ჰიტლერული პრესა იუწყება გერმანიაში იმ ადამიანთა სიკვდილით დასჯის შესახებ, რომელთაც ბრალდებათ ზურგის საბრძოლო სულისკვეთების ძირის გამოთხრის ცდა და დამარცხების განწყობილებათა გავრცელება.

## ჰიტლერელთა ტერორი და უწესოებანი რომში

**ლონდონი**, 18 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი-მეილის“ გადმოცემით, მთელი საქმიანი ცხოვრება რომში ჩამკვდარია. იტალიელი ჯარისკაცები გერმანელების მიერ შერეკილი არიან ტივოლის უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკში.

17 სექტემბერს გერმანელთა ჯარებმა რომში სროლა აუტეხეს დამშეული მოსახლეობის ჯგუფებს, რომლებიც ცარიელ სასურსათო მაღაზიებს არბევდნენ. უკვე მთელი კვირაა რომში არავითარი სურსათი არ შეუტანიათ. ქალაქის მოსახლეობა იკვებება მარტო სტაფილოთი, რასაც დღეში ერთ გირვანქას იძლევიან ოჯახზე. გერმანელები გლეხებს მთელ მათს მარაგს ართმევენ. სოფლების მოსახლეობა მთელ თავის სურსათს უმალავს გერმანელთა სარეკვიზიციო რაზმებს.

# დიდი საბჭოთა პატრიოტები

(25 წელი ბაქოს 26 კომისრის დახვრეტიდან)

1918 წლის 20 სექტემბერს ინტერვენტებმა ესერ-მენშევიკებთან და დაშნაკებთან ერთად ახჩა-კუიმის უდაბნოში მხეცურად დახვრიტეს საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლნი მგზნებარე ბოლშევიკები ს. შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე, ი. ფიოლეტოვი, მ. აზიზბეკოვი და სხვ., რომელნიც ბაქოს სახელგანთქმული 26 კომისრის სახელით არიან ცნობილნი მშრომელი ხალხის სამართლიანი საქმისათვის დიადი ბრძოლის ისტორიაში.

ბაქოს 26 კომისრის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ გრანდიოზულ ისტორიულ ბრძოლებთან, რასაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და გლეხობა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. მათი სახელები უკვდავი გმირის შარავანდედით არის შემოსილი. მათ „დაუვიწყარი, გმირული ფურცლები ჩასწერეს პროლეტარული რევოლუციის ისტორიაში...“

დიდი სტალინის მიერ აღზრდილი და გამობრძმედილი ბაქოს მუშათა კლასი განსაკუთრებული ძალით გამოეხმაურა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელიც ტრიუმფალურად გავრცელდა რუსეთში. ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული შვილები შაუმიანი, ჯაფარიძე, მიქოიანი და სხვ. ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბაქოს მშრომელთა ბრძოლებს, რომელმაც განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო 1918 წლის მარტში. ჯერ კიდევ 1917 წლის 16 დეკემბერს ამხანაგ სტალინის წინადადებით სახკომსაბჭომ ს. შაუმიანი დანიშნა კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრად. იგი თავდადებით იბრძოდა ამიერ-კავკასიის ხალხების საბჭოთა რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებისათვის. რასაც ძირს უთხრიდნენ და შლიდნენ ამიერ-კავკასიელი კონტრრევოლუციონერები: ესერები, მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები, რომელნიც სოციალიზმის ნიღაბით გამოდიოდნენ. ხალხის ინტერესების ამ მოღალატეებმა 1918 წელს ამიერ-კავკასია ჯერ გერმანელ იმპერიალისტ ყაჩაღებს გაათელვინეს, ხოლო შემდეგ ანტანტის ინტერვენტებს.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოს ბოლშევიკები მედგარ ბრძოლას ეწეოდნენ სოციალ-გამცემლების წინააღმდეგ და მასებს საბჭოთა რევოლუციის გამარჯვებისათვის რაზმავდნენ. 1918 წ. 14 თებერვალს დიდი ლენინი სწერდა ამხ. ს. შაუმიანს: „ჩვენ აღტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით. მოახერხეთ შეუერთოთ მას უაღრესად ფრთხილი დიპლომატია, რომელსაც აუცილებლად გულისხმობს ახლანდელი უძნელესი მდგომარეობა, — და ჩვენ გავიმარჯვებთ“. ლენინისა და სტალინის მითითებათა განხორციელებით ბოლშევიკებმა ბაქოს მშრომელები გამარჯვების გზით წაიყვანეს. 1918 წლის მარტის ბოლოს „ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელი დახმარებით ბაქოს ბოლშევიკებმა ს. შაუმიანის და ა. ჯაფარიძის მეთაურობით მოიპოვეს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება“ (ლ. ბერია).

1918 წლის აპრილის დასაწყისში მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადავიდა. არჩეულ იქნა სახალხო კომისართა ბაქოს საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ს. შაუმიანი, შინაგან საქმეთა კომისრად ამხ. ჯაფარიძე, სახალხო მეურნეობის კომისრად ამხ. ფიოლეტოვი, გუბერნიის კომისრად ამხ. აზიზბეკოვი. ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ ლენინისა და სტალინის მითითებებით მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა. მოხდა მიწის წიაღის, ნავთის სარეწების, ბანკების, კასპიის სავაჭრო ფლოტის და სხვ. ნაციონალიზაცია. ამხანაგი სტალინი, რომელიც იმ დროს ცარიცინის გმირულ დაცვას ხელმძღვანელობდა, ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ბაქოელებს პურით, იარაღით, ჯარის ნაწილებით, და სახელმძღვანელო დირექტივებს აძლევდა მათ. საბჭოთა ბაქო თავის მხრივ ნავთის პროდუქტებით ამარაგებდა საბჭოთა რუსეთს, რომელსაც მან 80 მილიონ ფუთზე მეტი ნავთი და ბენზინი გაუგზავნა.

მაგრამ ბაქოს საბჭოს წარმატებითი მოღვაწეობა უდიდეს გაბოროტებას იწვევდა ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერთა ბანაკში. მუსავატელებმა და დაშნაკებმა ესერ-მენშევიკებთან ერთად გააძლიერეს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა. ამას დაერთო სასურსათო სიძნელეები და გართულება თურქეთის ფრონტზე. ყველაფერი ეს გამოიყენეს საბჭოთა რევოლუციის დაუძინებელმა მტრებმა და 1918 წლის 25 ივლისს ბაქოს საბჭოს მიაღებინეს უხმასი დადგენილება, რომლითაც ბაქო ინტერვენტების სათარეშო ასპარეზად გადაიქცეოდა. ბაქოს სახკომსაბჭო ამ გამცემლური გადაწყვეტილების სასტიკი წინააღმდეგი იყო და ამიტომ „... უმცირესობაში დარჩენილი ბაქოელი ბოლშევიკები, შაუმიანისა და ჯაფარიძის მეთაურობით, გადადგნენ და გაათავისუფლეს ასპარეზი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის“ (სტალინი).

1918 წლის აგვისტოში ბაქოში შეიქმნა ესერულ-მენშევიკური კონტრრევოლუციური მთავრობა, რომელსაც „ცენტროკასპიის დიქტატურა“ ეწოდა და ინტერვენტთა ლაქიას წარმოადგენდა. ესერულ-მენშევიკურმა მთავრობამ ყველა საზიზღარი საშუალებით დაიწყო ბოლშევიკების დევნა-შევიწროება ბაქოში. დაპატიმრებულ იქნა შაუმიანი, ჯაფარიძე, ფიოლეტოვი და აზიზბეკოვი. ამხ. ა. მიქოიანის დახმარებით ბაქოს ბოლშევიკებმა მოახერხეს საპატიმროდან განთავისუფლება და ისინი ხელახლა გაემგზავრნენ ასტრახანისაკენ. მაგრამ გემის „თურქმენის“ მოსყიდულმა ხელმძღვანელმა საწვავის უქონლობა მოიმიზეზა და გემი 17 სექტემბერს მიიყვანა კრასნოვოდსკში, სადაც ესერული იმიერ-კასპიის მთავრობა და ინტერვენტები ბატონობდნენ. ესერების კონტრრევოლუციურმა მთავრობამ და ინტერვენტებმა ბაქოს კომისრები ციხეში ჩასვეს. აქ შეადგინეს მტარვალებმა თავიანთი ვერაგული გეგმა. 20 სექტემბერს ღამით 26 კომისარი მატარებლით აშხაბადისაკენ წაიყვანეს. ახჩა-კუიმის მახლობლად თავიანთი მუხანათური, მტარვალური გეგმა სისრულეში მოიყვანეს—ბაქოს 26 კომისარი უდაბნოში ვერაგულად დახვრიტეს ავაზაკებმა. ხალხის წიაღიდან გამოსულმა კომისრებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ისინი დიადი და სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში იღუპებოდნენ, და ამიტომ გმირულად შეხვდნენ საშინელ ხვედრს და სიკვდილის წინ ვაჟკაცურად, იმედიანად გაიძახოდნენ „გაუმარჯოს კომუნიზმს“!

ჩვენი ეპოქის დიდმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ საბჭოთა ხალხის გულისთქმა და სიყვარული გამოხატა საბჭოთა რევოლუციისათვის გმირულად დაღუპული კომუნარებისადმი მიძღვნილ ლექსში:

«Никогда,
никогда
ваша кровь не остынет, —
26 —
Джапаридзе и Шаумян!
Окрепленные
вашей кровью
пустыни
Красным знаменем
реют,
Над нами шумя.

დიდი სტალინის მიერ აღზრდილი და გამოწრთობილი ბაქოს მუშათა კლასი, რომელიც მშობლიური სიყვარულით ინახავს 26 კომისრის ძვირფას ხსოვნას, პატრიოტული თავდადებით შრომობს და დღითი დღე აძლიერებს დახმარებას გმირი წითელი არმიისადმი, რომელიც გენიალური მხედართმთავრის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დასავლეთისაკენ მიერეკება ჰიტლერელთა შეჯავშნულ ურდოებს და აახლოებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს.

ლ. ლევანიძე

# ამხ. გიგო ლელაშვილის ხსოვნას

16 სექტემბერს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1900 წლიდან, ამხ. გიგო ზაქარიას-ძე ლელაშვილი.

ამხ. გიგო დაიბადა 1881 წელს გორის მაზრაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. გაჭირვებამ აიძულა იგი 15 წლის ასაკში დაეტოვებინა თავისი კერა. იგი თბილისში წავიდა სამუშაოს საძებნელად.

აქ მან მოახერხა მუშად შესვლა თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში, სადაც მოწინავე მუშების დახმარებით მალე სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მიემხრო. 1898 წელს ამხ. გიგო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო მთავარი სახელოსნოს მუშათა წრისა, რომელიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეიქმნა. მას შემდეგ გიგო ლელაშვილი განუწყვეტლივ იმყოფებოდა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის, მშრომელი მასების ზეიმისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

1898-1901 წწ. ამხ. ლელაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილ გაფიცვებსა და პოლიტიკურ დემონსტრაციებში. თავდაბალი და თავდადებული მუშაკი, გიგო ბოლშევიკური სიმტკიცით ასრულებდა პარტიული ორგანიზაციის ყველა დავალებას. 1901 წელს, ამხანაგ სტალინისა და მიხა ბოჭორიძის დავალებით, ამხ. გიგომ მოაწყო არალეგალური სტამბა მთაწმინდაში (მამადავითის მთა). მისი ბინა წარმოადგენდა კონსპირატიულ ადგილს არალეგალურ მომუშავეთა შესახვედრად.

1901 წელს მეფის მთავრობამ დააპატიმრა და ციმბირში გადაასახლა ამხ. გიგო, მაგრამ მან მალე მოახერხა იქიდან გამოქცევა. იგი ჩამოვიდა ბაქოში და ამხ. გ. რთველაძესთან, ვ. სტურუასთან და სხვებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში, ეწეოდა პასუხსაგებ მუშაობას ბაქოს არალეგალურ სტამბაში.

1903 წლის დამლევს კავკასიის კავშირის კომიტეტის დავალებით ამხ. გიგო თბილისში ბრუნდება და მუშაობას იწყებს რსდმპ კავკასიის კავშირის ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ასოთამწყობად. ამხ. [illegible] და ბეჭდავდა მგზნებარე [illegible] პროკლამაციებსა და [illegible]. [illegible] დავალებული ჰქონდა მთელი [illegible] ბოლშევიკური ლიტერატურის [illegible]რება.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ამხ. გიგო შეუდრეკელ ბოლშევიკად რჩებოდა, აქტიურად იბრძოდა ქართველი ხალხის გამცემლების — მენშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით იგი ქართლის სოფლებში დადიოდა და ყველგან ბოლშევიკურ აგიტაციას ეწეოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. გიგო ლელაშვილს უჭირავს პასუხსაგები პარტიული და საბჭოთა თანამდებობანი და აქტიურად იბრძვის პარტიისა და ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ.

ბოლო დროს ამხ. ლელაშვილი მუშაობდა ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში. თავისი ავადმყოფობის მიუხედავად, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის მნიშვნელოვანი დოკუმენტების შეკრებასა და დამუშავებაში.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში ამხ. გიგო ყველა მშრომელთან ერთად მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა ჩვენი თავდაცვის განმტკიცების საქმეს და მას ღრმად სწამდა, რომ დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი სახელოვანი წითელი არმია, რომელსაც თავდადებული ღონისძიებებით მხარს უჭერს მთელი საბჭოთა ხალხი, საბოლოოდ გაანადგურებს საძულველ მტერს.

ძველი მუშა-ბოლშევიკის ამხ. გიგო ლელაშვილის დამახასიათებელი თვისება იყო მისი განსაკუთრებული თავდაბლობა და უსაზღვრო ერთგულება ლენინისა და სტალინის საქმისადმი, ხალხის საქმისადმი.

ამხ. გიგოს ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც იცნობდა მის თავდადებულ ცხოვრებას და მოღვაწეობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო გიგო!

**გ. სტურუა, ი. ვაცეკი, ნ. ალაშალოვა, გ. ელისაბედაშვილი, ი. ფრანგულიანი, ა. ზაკომოლდინი, ა. ფირცხალავა, გ. ნინუა.**

## წიგნი ფრონტელებს!

ჩვენი გაზეთის 22 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კაპიტან ა. კოკილაშვილის წერილი, რომელიც აყენებდა წინადადებას მოწყობილიყო ფრონტელ მებრძოლთათვის წიგნების შეგროვება. ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სკოლები.

თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა დავალებით დირექტორი პ. ქაჯაია, სასწავლო ნაწილის გამგე გ. კუტუბიძე, კლასის ხელმძღვანელები მ. აბაშიძე, შ. ზოიძე, ნ. ვაშალომიძე, გ. ყიფშიძე, პიონერები ვ. ალფაიძე, გ. ჭუმბურიძე, გ. ზაქარიაძე, თ. გორელიშვილი, გ. ვაჩნაძე და თ. აბულაძე გვაცნობებენ, რომ მათ წითელ მებრძოლთათვის შეაგროვეს 617 წიგნი და მოუწოდებენ საქართველოს ყველა სკოლის მოსწავლეებს მიბაძონ მათს მაგალითს.

წიგნების შეგროვება უკვე დაიწყეს აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონის ქალთა მე-5 და მე-6 სკოლებმა. რედაქციას მოსდის მრავალი წერილი ამ საკითხზე. ბათუმელი გოგონა ნინო ჭყონია გვწერს, რომ მას სურვილი აქვს გაუგზავნოს წიგნები მებრძოლებს და გვთხოვს ვაცნობოთ, რა მისამართით უნდა გაიგზავნოს ისინი.

შეგროვილი წიგნები უნდა გადაეცეს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატსა და საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წითელი არმიის ნაწილებისათვის გადასაგზავნად. შეიძლება წიგნები პირდაპირ გაეგზავნოს ნაცნობ მებრძოლებსა და ოფიცრებს ფრონტზე მათი საველე ფოსტის ნომრით.

## ჟურნ. „პროლეტარული რევოლუცია“ № 3

გამოვიდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ჟურნალი „პროლეტარული რევოლუცია“ № 3.

შინაარსი: ი. თავაძე—საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი (დაარსების ათი წლისთავი); ა. კიკვიძე—70-80-იანი წლების მუშათა მოძრაობის გამოხატულება ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში; ლ. გორგილაძე—კამათი ქართულ პრესაში ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ საკითხების გარშემო 1880-იან წლებში; ს. ბერიძე—პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი საქართველოში; ზ. გეგეშიძე—გიორგი თელია.

დოკუმენტები და მასალები: ჩვენი კითხვები; ბრძოლის ფურცლები № 1; ბრძოლის ფურცლები № 2.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: ლ. ებანოიძე —„ა. წულუკიძე—თხზულებანი, 1943 წ.“; ს. ბ.—„გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს“; ქართული გაზეთების ბიბლიოგრაფია (1819-1921 წ. 1 მარტამდე).

**25 სექტემბერს, დილის 9 საათზე,** „კომუნისტის“ რედაქციაში მოწვეულია გაზეთ „კომუნისტის“

**საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკური თათბირი.**

საკუთარი კორესპონდენტების დასწრება სავალდებულოა.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია.

## ჭიათურის თეატრი ომის დღეებში

**ჭიათურა** („კომუნისტის“ საკ. კორ.). სამამულო ომის დღეებში ნაყოფიერად მუშაობს ჭიათურის სახელმწიფო თეატრი (დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ს. ცომაია). თეატრის კოლექტივმა 1942/43 წლის სეზონში მაყურებელს უჩვენა დ. ერისთავის „სამშობლო“, თემირხანოვის და სტანისლავსკის „შურისძიება“, სუმბათაშვილის „ციხის საიდუმლო“, არაქსმანის „ტყეები შრიალებენ“, ვ. გუნიას „და-ძმა“ და „ალუმი“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“, პროტოპოპოვის „პარტიზანები“, ტ. რამიშვილის „სტუმარმასპინძლობა“, ა. წერეთლის „კინტო“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“.

თეატრმა თავისი დადგმები გადაიტანა ქ. ზესტაფონში, შორაპანში, ხარაგოულში, ჭიათურისა და საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებში.

თეატრის კოლექტივი წარმატებით ემზადება ახალი სეზონისათვის, რომელიც გაიხსნება ი. ვსევოლოჟსკისა და დ. რუდნევის პიესით „მკაცრი დღეები“. პიესა მხატვრული სიმართლითა და დამაჯერებლობით ასახავს ლენინგრადის გმირულ დაცვას. თეატრი პარალელურად მუშაობს გოლდონის პიესის „საპატარძლო აფიშით“ დასადგმელად.

## ამიერ-კავკასიის სპარტაკიადა

6 ოქტომბერს ერევანში დაიწყება ამიერ-კავკასიის სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საუკეთესო ფიზკულტურელები. პროგრამაშია შეჯიბრება ძალოსნობაში, ხელჩართულ ბრძოლასა და სპორტულ თამაშში.

საქართველოს ფიზკულტურელები უკვე ემზადებიან სპარტაკიადისათვის. ძალოსნობაში საქართველო წარმოდგენილი იქნება ნაკრები გუნდით, რომელშიც შევლენ: ნ. დუმბაძე, ლ. გოკიელი, ნიჩკინი, ლეგკოვი, ტატეოსიანი, ყურბანოვი და სხვ. ხელჩართული ბრძოლის გუნდში, რომლის წვრთნას ხელმძღვანელობს სპორტის დამსახურებული ოსტატი გოლოვინი, შედიან ამხ. ჭირაქაძე, კაზანჯიანი, გასპარიანი და სხვ.

სპორტული თამაშიდან შეჯიბრება ჩატარდება კალათბურთში, ფრენბურთსა და ფეხბურთში (სპარტაკიადაზე მიემგზავრება თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდი).

## ლექციები და მოხსენებები

**20 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის, 41) შესდგება ამხ. **ზავრიევის** ჯგუფური კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: „ამხანაგი სტალინი ჰიტლერული კოალიციის კრახის გარდუვალობის შესახებ“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

## თეატრებში

**სახ. ოპერა**—დილით „სევილიელი დალაქი“, საღამოს—„აბესალომ და ეთერი“, **რუსთაველის**—„საპატარძლო აფიშით“, **მარჯანიშვილის** — დილით „პარტიზანები“, საღამოს „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, **გრიბოედოვის** — დილით „შმაგი ფულები“, საღამოს „ბარბაროსები“, **სომხური**—დილით „ნამუსი“, საღამოს „ლურჯი მანდილი“, **ახუნდოვის**—დილით „ლეილი და მაჯნუნ“, საღამოს „გულშან ანა“, **მუსკომედიის** — „არშინ მალალან“, **მოზარდ მაყურებლის** — (რუს.) „შინაურები ვართ მოვრიგდებით“.

მარგო თომაძე და სამა კოჩლავაშვილი შვილებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამისა და სიმამრის
**ალექსანდრე ლაზარეს-ძე თომაძის**
გარდაცვალებას.

## კინოებში

**რუსთაველის** — „სამშობლოსათვის“, **დამკვრელი**—„ლედი ჰამილტონი“, **კომკავშირელი საზაფხულო**—„პრინცი და მათხოვარი“, **საზამთრო**—„სევანის მეთევზეები“, **სპარტაკი** — „დიდი ვალსი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „ძველ ჩიკაგოში“, **26 კომ. სახ.**—„ვოლგა-ვოლგა“, **მეცნიერება და ცოდნა**—„დუბროვსკი“, **ბერიას სახ. კულტ. სახლი**—„ვაჟკაცობა“, **განთიადი**—„უჩინარი იანი“.

ცოლი ანა, შვილი როზა, სიძე გ. სოფრომაძე, ძმა ისაკი ცოლ-შვილით და სიძით, დები ლუბა და ოლღა ქმარ-შვილით იუწყებიან
**გიორგი (გიგო) ლელაშვილის**
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 19/IX 3 ს. დაკრძ. 5 ს. ჩაქვის შეს., 1.

საზოგადოებრივი კვების თბილისის ტრესტი
(ქ. თბილისი, ივანიძის ქ. № 19)

აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო-კულინარული მოწაფეობის სკოლაში. სკოლა ამზადებს მე-3 კატეგორიის მზარეულებს. სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე.

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 25 წლამდე, რომელთაც აქვთ საერთო განათლება არა ნაკლებ შვიდწლედისა ქართულ ან რუსულ ენაზე. სკოლის მოწაფეები მიმაგრებული იქნებიან სასადილოებზე და მიიღებენ სტიპენდიას თვეში 100 მანეთს. მიღება გრძელდება.

სკოლაში კურსდამთავრებულნი გამოყენებული იქნებიან სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით ტრესტის საწარმოებში.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი, სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების მოწმობა, ექიმის ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და პასპორტი.

თბილსაზკვებტრესტი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26 პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03. პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67. სამდივნოსი—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83 სამხედრო. განათლება-ჯანმრთელობის. ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84. წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7040